



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

**IDFI-ს რეკომენდაციები
საქართველოს მთავრობის 2021-2022 წლების
ღია მმართველობის პარტნიორობის
სამოქმედო გეგმისათვის**

**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტი (IDFI)**

1. საქართველოს მიერ მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industries Transparency Initiative - EITI) გლობალურ სტანდარტთან მიერთება/გაწევრიანება და სტანდარტების განხორციელება/დანერგვა (JOINT STAR COMMITMENT ☆).....	3
2. საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა (JOINT STAR COMMITMENT ☆).....	3
3. საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა	4
4. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება – რეფორმის მეორე ტალღა.....	5
4.1 სპორტის ფედერაციების გამჭვირვალობა.....	5
4.2 ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების პროაქტიული გამოქვეყნება	5
4.3 რეფერალური და სხვა ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული განცხადებების და გაცემული დაფინანსების ოდენობის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.....	6
4.4 მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მიღებული ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება (მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით).....	6
4.5 Open Environment System	6
4.6 კულტურული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (დაგეგმილი ღონისძიებები, დაფინანსების გაცემის კრიტერიუმები და ა.შ.)	7
4.7 სარეზერვო ფონდებიდან განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება	7
4.8 უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება ვებგვერდზე.....	7
4.9 სასამართლო სისტემაში სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების დანერგვა და ღია მონაცემთა ფორმატში (Open Data) სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება	7
5. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა	8
6. თანამდებობის პირების დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნება.....	8
7. საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა.....	9

1. საქართველოს მიერ მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industries Transparency Initiative - EITI) გლობალურ სტანდარტთან მიერთება/გაწევრიანება და სტანდარტების განხორციელება/დანერგვა (JOINT STAR COMMITMENT ☆)

საქართველო არის ბუნებრივი რესურსების მხრივ მდიდარი სახელმწიფო და არის დამოკიდებული უცხოურ ინვესტიციებზე. თუ სახელმწიფოს უნდა უფრო მეტად იყოს ინვესტორებისათვის მიმზიდველი მოპოვებით მრეწველობაში, ის უნდა შეუერთდეს EITI-ის. OGP-ის მეშვეობით, რეგიონის სახელმწიფოებმა, როგორცაა უკრაინა და სომხეთი, გააძლიერეს საკუთარი ქმედებები მოპოვებით მრეწველობაში მათ შორის ბენეფიციარი საკუთრების შესახებ ინფორმაციის ღიაობის თვალსაზრისით. გაზრდილი გამჭვირვალობა ნიშნავს გაზრდილ ნდობას და უფრო მეტი რაოდენობით ინვესტიციას, რომელიც ეკონომიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით აძლიერებს სახელმწიფოს. EITI არის სპეციალისტების ქსელი მოპოვებით მრეწველობაში, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ლიცენზირების პრაქტიკა, ტრანზაქციების აღრიცხვა და გადასახადების გადახდის სისტემა.

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2. საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრის შექმნა (JOINT STAR COMMITMENT ☆)

საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. ხშირ შემთხვევაში, საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიები საქართველოში ფლობენ მნიშვნელოვან აქტივებს (უძრავი ქონება, კაპიტალი და ა.შ.) და მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში. საზოგადოებას და საჯარო დაწესებულებებს არ გააჩნიათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ დგას რეალურად ასეთი კომპანიების უკან, რაც ზრდის რისკებს ორგანიზებულ დანაშაულთან, კორუფციასთან და ინტერესთა შეუთავსებლობასთან მიმართებაში.

2016 წელს, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე გააჟღერა ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც ის გაზრდიდა გამჭვირვალობას საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარ მესაკუთრეებთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ ინიციატივის ფარგლებში გაერთიანებულმა სამეფომ მიიღო კანონი, რომელიც ეკონომიკურად აქტიურ საზღვარგარეთ რეგისტრირებულ კომპანიებს ავალდებულებს გაამჟღავნონ ბენეფიციარი მესაკუთრეები, ხოლო ქვეყანაში ახალი კომპანიის რეგისტრაციის შემთხვევაში წარადგინონ ეს ინფორმაცია.

ლონდონის 2016 წლის ანტიკორუფციული სამიტის ფარგლებში საქართველომ წარადგინა განცხადება, სადაც ვალდებულება აიღო, გამოეკვლია ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგისტრაციის საკითხი. მიუხედავად ამისა, უცნობია, მოხდა თუ არა აღნიშნული საკითხის გამოკვლევა. **IDFI-ის რეკომენდაციაა, საქართველომ აიღოს ვალდებულება საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიების ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნის შესახებ, რომელიც ელექტრონული ფორმით რეალურ დროში იქნება ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.**

3. საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა

საქართველოში საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი არსებობს. აღნიშნული რეგულაციები არის ძალზედ ზოგადი ხასიათის, გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში და არ არსებობს მათი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყება. შედეგად არსებული რეგულაციები და მათგან გამომდინარე პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მინიმალური სტანდარტის დაცვას. შესაბამისად აუცილებელია:

- პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთიანი სტანდარტის შექმნა, რომლის დაცვაც სავალდებულო იქნება პოლიტიკის შემუშავების ადრეული ეტაპიდანვე ე.ი. მანამ, სანამ დაიწყება პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტზე მუშაობის პროცესი და მიმდინარეობს მსჯელობა კონკრეტული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შესახებ.
- საჯარო კონსულტაციების ერთიანი ვებგვერდის შექმნა (ევროკავშირის/ევროკომისიის სტანდარტით), სადაც თემატიკის მიხედვით შესაძლებელი იქნება მიმდინარე და დასრულებულ კონსულტაციებზე ინფორმაციის მიღება. მიმდინარე კონსულტაციების შესახებ გამოქვეყნებული უნდა იყოს ინფორმაცია განხილვის საკითხის, მისი მოკლე აღწერის, კონსულტაციის მიზნის, სამიზნე აუდიტორიის და მოსაზრებების წარდგენის პროცესის შესახებ. აქვე ხელმისაწვდომი იქნება ასევე ex-ante რეგულირების გავლენის შეფასებები ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- დაინტერესებულ მხარეთა გაერთიანებებთან, ასოციაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პირდაპირი სამიზნე კონსულტაციების ჩასატარებლად უნდა შეიქმნას დაინტერესებულ მხარეთა ერთიანი ბაზა. ეს ბაზა უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გამოქვეყნდეს საჯარო კონსულტაციების ერთიანი ვებგვერდზე და პროაქტიულად განახლდეს მასში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.

4. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება – რეფორმის მეორე ტალღა

2013 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, სადაც განისაზღვრა იმ ინფორმაციის ნუსხა და გამოქვეყნების პერიოდულობა, რომელიც საქართველოს სამინისტროებმა და მათდამი დაქვემდებარებულმა საჯარო დაწესებულებებმა პროაქტიული ფორმით საკუთარ ვებგვერდებზე უნდა განათავსონ.

დადგენილებამ საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი გააუმჯობესა, თუმცა არსებობს სამომავლო ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია სისტემის სრულყოფისთვის.

IDFI-ის რეკომენდაციაა, გადაიხედოს მთავრობის დადგენილება და გაფართოვდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა – მეტი დეტალიზაციის და გამოქვეყნების ფორმატის დახვეწის კუთხით (ჯამური მონაცემების ჩაშლილად გამოქვეყნება, საჯარო ინტერესის შესაბამისი დოკუმენტების გამოქვეყნება – 3 მოთხოვნის პრინციპი). გარდა ამისა, IDFI-ის რეკომენდაციაა, მთავრობის დადგენილებაში გაჩნდეს ნუსხაში ჩამოთვლილი ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში (Open Data) გამოქვეყნების ვალდებულება და მისი ერთიანი განთავსება ღია მონაცემთა პორტალზე – data.gov.ge.

4.1 სპორტის ფედერაციების გამჭვირვალობა

სპორტის ფედერაციების სახელმწიფო დაფინანსების მეტი გამჭვირვალობისთვის მათი ფინანსური ანგარიშების ხელმისაწვდომობა. ასევე, ფედერაციების გამჭვირვალობის ერთიანი სტანდარტის დაწესება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით - ევროკავშირის სტანდარტები და Play the Game-ის კრიტერიუმები.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

4.2 ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების პროაქტიული გამოქვეყნება

ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალის პროაქტიული გამოქვეყნება (ჩამონათვალი და მონაცემთა ბაზის მეტადატა) და პერიოდული განახლება.

პასუხისმგებელი უწყება: მონაცემთა გაცვლის სააგენტო

4.3 რეფერალური და სხვა ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული განცხადებების და გაცემული დაფინანსების ოდენობის პროაქტიული ხელმისაწვდომობა

რეფერალური და სხვა ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში (რომლებზეც დაფინანსების ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ) დარეგისტრირებული განაცხადების (პერსონალური მონაცემების გარდა) და გაცემული დაფინანსების ოდენობის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირებული განაცხადების და გაცემული დაფინანსების ოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოტენციურ ბენეფიციარებს და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალებას მიცემს გაცნონ მსგავსი სტატუსის და სამედიცინო საჭიროების მქონე პირებისათვის გაცემული დაფინანსების ოდენობის არსებულ პრაქტიკას.

აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ერთის მხრივ პოტენციურ ბენეფიციარებს წინასწარ შეუქმნის მისაღების დაფინანსების ოდენობის შესახებ რეალურ მოლოდინებს, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირებს კომისიის მიერ არამიზნობრივად დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის რისკებს.

4.4 მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მიღებული ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება (მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით)

დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყნდება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. თუმცა, არ ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები, ასევე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის, მიზანშეწონილია მათი გამოქვეყნება ვებგვერდზე (მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით, რადგან დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალურია).

ასევე, კარგი იქნება რაღაც ერთიანი ბაზა რომ შეიქმნას, რომელსაც გაფილტრვის და ძებნის ფუნქცია ექნება და ნაცვლად იმისა, რომ საბჭოს/კოლეგიის/პალატის ვებგვერდებზე ცალ-ცალკე ვებგვერდით გადაწყვეტილებები, ერთიან ბაზაში მარტივად მოიძებნოს კონკრეტულ საქმეზე (რომელსაც გაფილტრავთ თარიღის, გადაცდომის სახის, გადაცდომის დადასტურების/არდადასტურების მიხედვით) რა გადაწყვეტილება მიიღო დამოუკიდებელმა ინსპექტორმა, საბჭომ, კოლეგიამ და პალატამ.

4.5 Open Environment System

საჯარო უწყებებში არსებული ინფორმაციის პროაქტიული ღიაობა და მონიტორინგი, მაგალითად, ყოველ წელს მდინარე მაშავერას ან ლიახვის ან ნებისმიერი სხვა მდინარის ანალიზი, ჰაერის ანალიზი

დასახლებულ პუნქტებში, კანონდარღვევების შესახებ ინფორმაციის ღიაობა - მაგალითად, რომელმა კომპანიამ ჩაყარა სამშენებლო ნაგავი მდინარეში, ან ბრაკონიერობის რამდენი შემთხვევა დაფიქსირდა რომელიმე ნაკრძალში და მსგავსი საკითხები. [დაახლოებით ანალოგიური ვალდებულება აქვს უკრაინას 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში.](#)

4.6 კულტურული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (დაგეგმილი ღონისძიებები, დაფინანსების გაცემის კრიტერიუმები და ა.შ.)

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებზე მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება. მსგავსი ღონისძიებების როგორც დამკვეთი სახელმწიფო უწყებების (სამინისტრო, მუნიციპალიტეტი, სსიპ, ააიპ და ა.შ) და ასევე მიმწოდებელი კომპანიების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მსგავს მიმართულებაზე თანხების არამიზნობრივი განკარგვის რისკებს.

მნიშვნელოვანია შეიქმნას ვებ-პორტალი სადაც ერთიან ფორმატში განთავსდება დაგეგმილი და განხორციელებული კულტურული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია. კერძოდ, ღონისძიების დაგეგმვის მიზანი, დაფინანსების გაცემის კრიტერიუმები, შერჩეული კომპანიების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

4.7 სარეზერვო ფონდებიდან განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

სარეზერვო ფონდებიდან განხორციელებული იმ შესყიდვების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა, რომლებზეც არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოქმედება.

4.8 უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება ვებგვერდზე

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ პლენუმის დადგენილებები და სხდომის ოქმები ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაში, პლენუმის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

4.9 სასამართლო სისტემაში სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების დანერგვა და ღია მონაცემთა ფორმატში (Open Data) სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება

სასამართლო სტატისტიკის წარმოების პრინციპი ხარვეზიანია და ერთიანი მეთოდოლოგიით არ ხორციელდება. სათანადოდ არ არის განვითარებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგია. სასამართლოს სტატისტიკა ნაკლებად არის მომხმარებელზე ორიენტირებული. მიზანშეწონილია დაინერგოს სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების

მეთოდოლოგია და დაიხვეწოს სტატისტიკური მონაცემების ფორმები, მათ შორის ღია მონაცემთა ფორმატში. (ამას ითვალისწინებდა სასამართლო სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმაც).

5. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებულ საკითხებს არ არეგულირებს. კანონი არ ითვალისწინებს ქვეკონტრაქტორის ცნებას, ხოლო კანონის მაღალი გამჭვირვალობის სტანდარტები არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად დადებულ ქვე-კონტრაქტებზე. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება ელექტრონული პორტალის – procurement.gov.ge-ის მიღმა.

ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციის გაუმჭვირვალობა კორუფციისა და არაკეთილსინდისიერი გარიგებების რისკებს აჩენს. ქვე-კონტრაქტირება შესაძლოა ბოროტად იყოს გამოყენებული ინტერესთა კონფლიქტის დადგენის თავიდან არიდების, ან ეკონომიკური ოპერატორების მიერ ხელშეკრულების გაყოფისა და ფასის ხელოვნურად გაზრდის მიზნით. ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა მსგავსი ქმედებების აღმოჩენას და შესაბამის რეაგირებას ართულებს.

ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში პრობლემურია, რაც დაკავშირებულია პოლიტიკური ნების ნაკლებობასთან, ისევე როგორც სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემების ნაკლებობასთან. თუმცა, საქართველოს აქვს შესაბამისი გამოცდილება, ტექნიკური (შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა) და პროფესიული რესურსი, რათა ქვეკონტრაქტორების შესახებ გამჭვირვალობა უზრუნველყოს უპრობლემოდ და ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

IDFI-ის რეკომენდაციაა, საქართველოს მთავრობის და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავდეს კანონპროექტი, რომლითაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში და შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე აქტებში მოხდება ქვეკონტრაქტორის ცნების განმარტება და არსებული გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის ქვე-კონტრაქტებზე გავრცელება.

6. თანამდებობის პირების დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნება

თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო www.declaration.gov.ge-ol პლატფორმის შექმნა. აღნიშნული პლატფორმა შექმნის დროს ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად ითვლებოდა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ გაეროს საჯარო სამსახურის 2013 წლის კონკურსში ამ პორტალმა გაიმარჯვა კატეგორიაში: „კორუფციის პრევენცია და დამარცხება“. თუმცა, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, კიდევ უფრო იზრდება გამჭვირვალობის სტანდარტები და შესაძლებლობები. იმისთვის, რომ კიდევ უფრო მარტივი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის თანამდებობის პირების შესახებ სასურველი

ინფორმაციის მოძებნა, დამუშავება და ანალიზი, მნიშვნელოვანია მათი ქონებრივი დეკლარაციების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობა. დღეისათვის www.declaration.gov.ge-ზე დეკლარაციები PDF ფორმატში ქვეყნდება, რაც ღია მონაცემების სტანდარტებს სათანადოდ არ აკმაყოფილებს. იქიდან გამომდინარე, რომ თანამდებობის პირები ქონებრივ დეკლარაციებს ონლაინ და სტანდარტიზებული ფორმატის მიხედვით ავსებენ, მათი ღია ფორმატში გამოქვეყნება დიდ რესურსებთან არ არის დაკავშირებული.

7. საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, საარქივო დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის მხრივ, საქართველოში დაწესებულია ერთ-ერთი ყველაზე შემზღვევლი რეგულაციები. ეს საკითხი პრობლემურია იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი მათ, ვინც დაინტერესებულია ისტორიული თუ საბჭოთა კვლევებით, ექმნება სხვადასხვა დაბრკოლება, რომ გაეცნოს საარქივო მასალებს და მოხდეს წარსულის სწორი გააზრება. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტთა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით აუცილებელია:

- სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასაბუთებული სამეცნიერო-კვლევითი მიზნების არსებობის შემთხვევაში
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნების ან/და საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში და შსს-ის არქივში დაცულ დოკუმენტებში პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) გაცნობის შეზღუდვის მოხსნა
- სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში და საქართველოს შსს-ის არქივში დოკუმენტების ფოტო-ვიდეო გადაღებაზე შეზღუდვის აკრძალვა, იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემული დოკუმენტის გაცნობის მიზნით მოხდა მასზე განმცხადებლის დაშვება.



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.